სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/186

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული „ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიების“ ცენტრის შქმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული „ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიების“ ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დამტკიცდეს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება:

3. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), სხდომაზე წარადგენს სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკაკდემიური საბჭოს თავმჯდომარე დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი იაშა კუტუბიძე